საბჭოს ერთობლივი მოქმედება 2009/294/CFSP, 2009 წლის 23 მარტი

შესწორება - ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ (EUMM Gეორგია)
ევროპის კავშირის საბჭო,
ევროპის კავშირის ხელშეკრულების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მისი მე-14 მუხლის,
ვინაიდან:
1. 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ (EUMM Gეორგია (1)), რომლის ფინანსირებისთვისაც გამოიყო 31 000 000 ევრო.
2. 2008 წლის 25 სექტემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/759/CFSP, რომელმაც შესწორება შეიტანა 2008/736/CFSP ერთობლივ მოქმედებაში, საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ (EUMM გეორგია (2)), ფინანსირების 35 000 000 ევრომდე გაზრდის მიზნით.
3. დაფინანსების ოდენობა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიისთვის უნდა გაიზარდოს 2009 წლის 1 თებერვლიდან, რათა მისიამ შეძლოს დამატებითი ოპერატიული საჭიროებების განხორციელება,
ღებულობს შემდეგ ერთობლივ მოქმედებას:
მუხლი 1
ერთობლივი მოქმედების მე14(1) მუხლი შეიცვალოს შემდეგით:
‘1. მისიის ხარჯების დასაფარავად განსაზღვრული ფინანსური ფონდი შეადგენს 37 100 000 ევროს.’
მუხლი 2
ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე.
იგი გამოიყენება 2009 წლის 1 თებერვლიდან
მუხლი 3
ეს ერთობლივი მოქმედება გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

მიღებულია ბრიუსელში, 2009 წლის 23 მარტს
საბჭოს სახელით
პრეზიდენტი პ. განდალოვიჩი

(http://eur-lex.europa.eu/)/საკუთარი თარგმანი)